ეროვნული ბიბლიოთეკა

13 (25) ნოემბერს 1869. № 46. მეოთხე წელიწადი.

**გაზეთის ფასი**

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 მან. |
| ნახევარის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## განცხადება

### გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1870 წელსა.

მომავალს 1870 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა და იქნება იმავე გამომცემელის ხელში.

შემდეგ ნომერში იქნება უფრო დაწვრილებითი გამოცხადება ამ საგანზე.

---

**ხელ-მოსაწერი ფასი:**

| | გაუგზავნელათ. მან. | კაპ. | გაგზავნით მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთი წლისა ტფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში | 6 | „ | 7 | „ |
| ნახევარის წლისა | 3 | 50 | 4 | „ |
| სამის თვისა | 2 | „ | 2 | 50 |
| ერთი თვისა | „ | 75 | 1 | „ |

**ხელის მოწერა:**

შეიძლება ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ გაზეთი. Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

**შინაარსი:**

განცხადება 1870 წ. „დროების“ გამოცემაზე.—შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—პოლიტიკა: ფრანცია,—ანგლია,—იტალია,—საბერძნეთი.—ტელეგრამმები.—ბიბლიოგრაფიული ნაწილი.—სხვა და სხვა ამბავი.—სავაჭრო და ბიბლიოგ. განცხადებანი.—ნობათი, № 5.

---

## შინაგანი ცნობები.

ოდესსიდან იწერებიან, რომ შარშანდელი წლიდან დაწყებული ბოლგარების გარდასახლება კავკასიაში ბესსარაბიის მაზრიდან და ხერსონის გუბერნიიდან ჯერაც არ შეჩერებულაო; შარშან იმათ ძალით აჩერებდა მმართებლობა და არ აძლევდა უთავბოლოთ გადასახლების ნებასაო; წელს კი, როგორც ამბობენ, უფრო თადარიგიანათ გადმოდიან: რამდონიმე კაცი ან ოჯახი ერთათ იყრიან თავს და ამ რიგათ მოდიანო.—

---

„რუსის უწყებაში“ სწერენ, რომ, მოსკოვს და კავკაზს შუა კომერციული კავშირის გამო, კარგა ძალი სომხები და ქართველები მუდამ მოსკოვში დგანანო; ამათი უმეტესი ნაწილი ვაჭრობს ენდროთი, ბამბით, აბრეშუმის საქონლით და სხვა აზიული ნაწარმოებით. კავკასიელების მოსკოვში გადასახლება ერთის მხრით მიეწერება კიდევ იმ პოლიტიკურ გარემოებებს, რომელნიც იყვნენ მთელს კავკასიაში წასული საუკუნოს დამლევს. სულ მოსკოვში დასახლებული სომხების, ქართველების და სხვა კავკასიელთ რიცხვი, ზემოხსენებული გაზეთის სიტყვით სამი ათასამდი იქნება.—

---

აქაურს კლუბის ზალაში ნოემბრის 4-ს იყო ბალი ტფილისის უფასო შკოლების სასარგებლოთ. როგორც ამბობენ, 600 მანეთამდი მოუკრეფიათ ამ სამადლო საქმისათვის.

---

გაზ. „კავკასში“ სწერენ: პურის ფასი ჩვენ ქალაქში თან და თან მატულობს: საუკეთესო ფქვილის ფუთი მანეთად და სამ აბაზათ და მანეთად და სამ აბაზ უზალთუნათ იყიდება; მეორე ხარისხის პური ღირს—მანეთ ნახევრად. ამბობენ, რომ ბუმბრის უეზდში, რომლის პურითაც რჩება თითქმის მთელი ტფილისი, ფუთი ფქვილი მანეთად ღირსო; ისმის აგრეთვე, ვითომ რამდენიმე ვაჭარს ეყიდოს გლეხებისაგან მთელი პური და სანამ კიდევ უფრო არ გაძვირდება, მანამ არ აპირებენ გაყიდვასაო; ახლანდელი პურის სიძვირის მიზეზიც ეს არისო. იმედია კი რომ, თუ ისეთი წვიმები დადგა, როგორიც უკანასკნელი

---

## ნობათი.

№ 5.

### არა გყვანდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.

(ამბავი.)

როსტომი არის საკმაოთ ბევრი მამულების პატრონი. ორ-სამ სოფელში იმისი ვენახები და სახნავ-სათესი მიწები, წვრილ-წვრილათ დაყოფილები, თავის დაგვარათ რიგიან მოსავალს იძლევიან. მეზობლებში ბევრნი შენატრიან კიდეცა, რომ ნეტავი შენა, ამოდენა მამულების პატრონი ხარო! როსტომს რომ ჰკითხოთ: მართალიაო? გეტყვისთ, მართალიაო; მაგრამ რაც მამულს წვალება და ხათაბალა უნდა, ენა ვერ გამოსთქვამსო. უნდა მოგახსენოთ, რომ როსტომს ნებიერი ცხოვრება უყვარს.

როსტომი დგომით ერთ სოფელში დგას და სხვა სოფლის მამულებს იქიდგან უვლის. თუ საქმე გაჩნდა სოფლებში, სიარულიც, არ არის, რომ არ ეხალისება, თუმცა გამგზავრების დროს მუდამ დუდუნს მოჰყვება. მაგრამ ამასობაში ცოლი შემოერევა და წააქეზებს ანდაზით: „შორს მოყარე, შინ მშვიდობით მოდიო;“ არა გიშავს რა, პატარას გაისეირნებო. როსტომსაც გულში იამება, მაგრამ წუწუნს კი მოჰყვება, რომ წელი მტკივაო, გავცივდებიო; აქეთ შემოუკურთხებს, იქით შეუკურთხებს, ორიოდ ლაზათიანის სიტყვით ახალ დროსაც შეამკობს და შეუდგება გზის თადარიგსა, მუდამ ამ ანდაზის დამატებით: არა გყვანდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო!

მოგზაურობაც კი დარბაისლური იცის.. მაგრამ რა საჭიროა ჩვენი ლაპარაკი.

ერთ საღამოს როსტომი ჩვეულებისამებრ შინ იჯდა და სტუმრებს ნარდის თამაშობით შეაქცევდა.

— აბა ერთი, შენი ჭირიმე კამათლებო, სე ბა დუ! გულიანათ იძახოდა შუა გაცხარებულ თამაშობაში. შენ ანდუყაფარ, ძალიან კი მძიმეთ გიყენია კაცები.

— რა ექნა? ამ ოხერ კამათლებს რაღაც კი დაემართათ და! რო არ მოდის. გააგორა კამათლები და ხმა გაგრძელებით დაფიქრებულმა დაიღიღინა: „რა ქნას კარგმა მონარდება, თუ დუშეში არ მოუვა.“

— ჯარი კი ანდუყაფარ ძალიან გიყენია! დაცინვით წამოიძახა როსტომმა და ზედ დაურთო ერთი საერო ლექსი:

ანდუყაფარ სანადიროთ საქართველო შეჰყარაო
ჟველიც მოჰკლა, ჯეირანიც, ღმერთსა ხელი შეჰყარაო,

— ეჰ, შენ ხომ მე დამცინი და

ვნახოთ, ბოლოს რა იყოს,
რა გამოვა რისაგან?

— სე ბა დუ! არ იქნა!.. ბიჭო, მე ისეთ გაჭირებაში არა ვყოფილვარ, რომ არ გამოვსულვიყო. ნარდში სწორეთ მე ჩემი სეხნა როსტევან მეფე ვარ:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი,
თვით მომმარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი.

—ვაი შენ ჩემო თავო! როსტომ და როსტევანი სულ ერთია? მითომ შენც როსტევანობ რაღა! ვნახოთ, როგორ შამიგებ?! შენ შვილო სხვები ნუ გგონივარ; და ანდუყაფარ დაცინვას მოჰყვა:

ასე დაბერდა როსტომი, სიტყვა სათქმელათ დასჭირდა.

— შენც არ მამიკვდე! აბა ლექსი დაასრულე კიდეცა!

წადით, დიაკვანს ჰკითხევით, როსტომის ხმალსა რასჭირდა?
თუ პირი არ გაუჭრიდა, ყუა პირველებ გასჭრიდა!

ამ გვარს შექცევაში იყვნენ ჩვენი როსტომი თავისის სტუმრებითა. შორიდგან რომ კაცს შემოეხედნა „ქილიდა და დამანას“ ამბავი მოაგონდებოდა, როდესაც ორ მტრედზეა ლაპარაკი: „ორნი მტრედნი საყვარელნი ერთ ბუდესა შინა მკვიდრობდეს გაუყარად და შეერთებულათ. მათ გულსა მოშურნეობის მტვერი და მოუსავლობის ზრუნვა არ დასდებოდა. ერთს კუთხეს მჯდომთა მწირსავით გული ღვთისათვის მიენდოთ. ორნივე დღე და ღამე კაის ხმით ღუღუნებდენ, ხან და და ხან სულის მაბრუნებელის ხმით სხვა და სხვა რიგთა ლექსთა შეამჭევრებდენ.“

ეს ლექსიც კი მოაგონდებოდა კაცს იმავე ქილილა და დამანასაგან;

არა რა მაქვს რა საჭირო საქმენი საწყინარია!

მაგრამ რადგანაც ამ წუთ სოფელში ყველაყა დაუდგრომელია, ამათ შექცევასაც ბოლო მოელო.

შემოვიდა ბატონთან მსახური, რომელიც ამ ჟამათ მოურაობის თანამდებობას ასრულებს.

— რაო, მახარე? და ჩააგორა კამათლები როსტომმა.

— რა შენი ჭირიმე და აი ბიჭები გიახლნენ, და ხარკამბეჩი რო დავკარგეთ, იმისი ამბავი მოგვიტანეს. საყდრისუბანში უთქვამთ, რო გუშინ წინ ზემოუბნის გზაში გარეკეს ქალაქის მხარეზეო; იქიდამ მეურმეები მომავალებულან და იმათ უნახამთ ჩვენი საქონელი. სწორეთ იმ ნიშნით უნიშნებიათ: ასეაო, ამ ალაგას ეს ნიშანი ჰქონდაო, ასე ამისთანა რქაო და ნიკორა კამეჩიც იმათში ყოფილა. თქვენი რისხვა არა მაქვს, თუ დღეს ხვალ კაცი არ გამოუყენეთ, არ იქნება.

— აცა, მამაგიცხონდება, ერთი ეს გავათავოთ, უთხრა ანდუყაფარმა, რაკი შეატყო რომ როსტომსაც, არ იყო, უსიამოვნობა გამოეხატა სახეზე, თითქოს უნდა ეთქვა: აი კიდევ დავი-დარაბა გაჩდაო, მაგრამ თითქოს დანანდა ამ სიტყვების წამოთქმა სხვა ფიქრისაგან. მართლათაც თავის გულში გადასწყვიტა, რომ საქონლის საძებნელათ თითონ გამგზავრებულიყო.

გაათავეს ნარდის თამაშობა. წამოდგა როსტომი გულმოსული.

— ახლა რას ფიქრობ? ჰკითხა ცოლმა,

— რასა ვფიქრობ და ჯანაბას! ღმერთმანი, ამდენმა დავიდარაბამ კაცი გამათავა. რომელი ერთ გაუძლოს კაცმა? ძილი აღარა მაქვს და მოსვენება. გულიანათ ერთი ნარდის თამაშობა მინდოდა, ესეც გამაწყვეტინეს!

— დედაკაცივით არა წუწუნებდე, ის გირჩევნია, შეტევით უთხრა ანდუყაფარმა.

— დედაკაცი რას მიქვიან! ჯავრით აღარა ვარ კაცი. ბატონო, ყბათ ამიღეს: აი ნეტავი შენ და ნეტავი შენ როსტომო, რომ დიდი მამულები გაქვსო!... ის კი არ იციან დიდ მამულებს დიდი დავი-დარაბა უნდა და დიდი თავში ცემა.

— ნათქვამია და: დიდი თავი გაქვს, იტირე და თავში იეცო, დააყოლა ანდუყაფარმა.

— შენ იცინი, ანდუყაფარ, და მე კი არ მეცინება! შენ, შვილო, აქა ბრძანდები ზამთარ ზაფხულ, აბა ჩემთვის რა გული დაგეწვის, თუ როსტომი წვიმა ავდარში, სიცხეში და ყინვაში საღ დაეთრევა! შინ მოვდივარ, არ დამაცლიან, ორიოდ დღე დავისვენო: არიქა, ამ სოფელში ბატონოვო! ამ სოფელში მივდივარ, არიქა, იქითაო! თხუთმეტ ნაჭრათ რო ვიქცე, ვერ აუვალ ამდენ საქმესა... სად ყანა გაფუჭებიათ, სად თივა მოუთიბავთ, სად ლალა-კულუხი უნდა მოგროვდეს...ე..ე.. რომელი ერთი მოვთქვა! ერთი გულშემატკივარი კაციც არა გყავს, ძმაო, რომ მოუ-

ხუთი დღის განმავლობაში იყო, პური ცოტაოდნათ მაინც გაიაფდება.—

Tითქმის ერთი კვირაა რაც, კავკასიის მთებზე გზის შეკვრის გამო, Tბილისში არც ერთი ფოშტა არ მოსულა რუსეთიდგან. Aხლა ამბობენ, რომ გზები გაუწმენდიათ მთებიდან ჩამოცვენილი თოვლისაგანო.—

Aმ მოკლე დროებაში მოვიდა Tბილისში დოქტორი პრუსტი, რომელიც გამოგზავნილია Fრანციის მმართებლობისაგან აღმოსავლეთისაკენ ხოლერის მიზეზის შესატყობლათ. პრუსტმა სთხოვა აქაურ Eქიმების საზოგადოებას, რომ მიეცათ იმისთვის ცნობები კავკასში ხოლერის გავრცელებაზე 1823, 31,47, 57 და 66 წლებში; საზოგადოებამ დ. შ ხპარონიანცს მიანდო ამ ცნობების შეკრება და პრუსტისთვის გადაცემა.—

## რუსეთის ამბები.

ხელმწიფე Iმპერატორის რესკრიპტის ძალით ამ თვის დასაწყისში დაწესდა პეტერბურღში ცალკე კომმისია, რომელმანც უნდა ხელ-ახლად გარდახედოს და მოიყვანოს ჯეროვანს სისრულეში და სისტემაში ახლანდელი ცენზურის და ბეჭდვის კანონები. Aმ კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია სტატს-სეკრეტარი Uრუსოვი და წევრებათ რამოდენიმე სენატორები და ცენზურის სამმართველოს წევრები.—

30 ოქტომბრიდან არის ცნობა, რომ კოზლოვსკ—Tამბოვის რკინის გზა ამ დღეებში გაიხსნებაო.

Bაზეთი „Голосъ"-ის სიტყვით, 18 ოქტომბერს პეტერბურღში გაიხსნა კლუბი, რომელშიაც იკრიბებიან ხოლმე თავის სხვა და სხვა საქმეებზე სამუსაიფოთ დასავლეთის და სამხრეთის სლოვიანები.

Fინლანდიის გაზეთები სწერენ, რომ ხელმწიფე Iმპერატორმა ერთს იქაურს ქალს მისცა ნება აფთიაქრობაზე ეგზამენის დაჭერისა. Eს ამბავი მოგვაგონებს ჩვენო, ამბობენ პეტ. Uწყ., იმას, რომ ამას წინეთ რამდენიმე ახალგაზდა ქალი, რომელთაც გაათავეს პედაგოგიის კურსი მარიამის გიმნაზიაში, მიიღეს კონტროლის დეპარტამენტში და მუშაობენ იმ იმედით, რომ შემდეგში იმათ ჩარიცხავენ სახელმწიფო სამსახურში. Uველა ესენი წარმატების ნიშნებია.—

# პოლიტიკა.

## ფრანცია.

პ ა რ ი ჟ ი 31 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს. „Independance Belge" გვარწმუნებს, რომ ღენერალ Фლორის, (რომელიც Fრანციის ელჩათ არის რუსეთის სასახლესთან დანიშნული და 30 წარსულ თვეს გამგზავრდა პარიჟიდან პეტერბურღს), მინდობილი აქვს თავის მმართებლობისაგან Bერლინში და პეტერბურღში მოლაპარაკება ჯარის მოსპობის თაობაზე.—

— Fრანცუზულ გაზეთებში სწერენ, რომ ჩვენი მმართებლობა დიდის შიშით მოელოდა 26 ოქტომბრის დადგომასაო. სხვათა შორის აი რას ამბობენ მარშალ კონრობერზე, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ნახევარი პარიჟის დაცვა, არეულობა რომ მომხდარიყო. Iს მთელი დღე ჩაფიქრებული დაიარებოდა თურმე თავის კანცელარიაში და მოელოდა არეულობას; ყოველი მეოთხედი საათის შემდეგ გზავნიდა ესტაფეტს პოლიციაში ამბების შესატყობლათ და ბრძნულათ ჰკითხულობდა პოლიციისაგან გამოგზავნილ ქაღალდებს, რომლებშიაც სწერდენ, რომ ქუჩებზე დიდი მყუდრობააო, რომ მუშები მუშაობენ თავისთვის ქარხნებში და წვიმა მოდისო. საზოგადოთ წვიმას დიდი გავლენა ჰქონია საქმეებზე ამ შესანიშნავ დღეს. როცა დილით იმ დღეს წამოდგა ნაპოლეონი და შეიტყო, რომ წვიმა მოდის, სიხარულით სთქვაო, ამბობენ: Cette pluie —la vaut mieux que cent mille homme troupes!" (Eს წვიმა დღეს ასი ათასს კაცზე უფრო ძვირად ღირს).

— Uოველი საათის განმავლობაში ნაპოლეონი სწერდა თავის ცოლს დეპეშებსა, რომელშიაც ამბობდა მხოლოთ: Tout vat bien! Il pleut (საქმე კარგათ მიდის! წვიმს).

— Bაზ. „France" ში არის დაბეჭდილი შემდეგი იმ კანონების პროექტებზე, რომელნიც შეიტანეს ამ მოკლე ხანში სახელმწიფო რჩევაში: „Eრთის ამ კანონთაგანის ძალით პირველ დასაწყისი სწავლა უნდა იყოს უფასო და სახელმწიფომ უნდა მისცეს ამ საქმისთვის საშუალება სოფლებსა და დეპარტამენტებს. მაგრამ, რადგანაც ეს მოითხოვს 25 მილიონს ფულსა და ხაზინას ამდონის მიცემა ერთად არ შეუძლია, ამიტომ ამ კანონს მიეცემა სრული ძალა და მოვა სისრულეში მხოლოთ ხუთი წლის შემდეგ.—Uველაზე უწინ კი მმართებლობამ უნდა შეეწიოს უფრო ღარიბ სოფლებსა.—

— Aმერიკულ გაზეთებში იწერებიან, რომ მ. Bიაცინტი მისულა ნიუ-Iორკში. Aმბობენ, რომ ეს გამოჩენილი მქადაგებელი წასულა იქ, Aმერიკის ხალხის და ქვეყნის გასაცნობად და ორი თვის შემდეგ ისევ Eვროპაში დაბრუნდებაო.

## ანგლია

Bლადსტონის წიგნმა, რომელშიაც ის აცხადებდა, რომ მმართებლობა ვერ გაათავისუფლებს დატუსაღებულ ფენიებსაო, კიდევ მომეტებულად ააშფოთა ირლანდიელები: კორკში და Tიპერარში ხელ-ახლათ შეიკრიბენ აუარებელი მიტინგები; 3,000 კაცი გამოვიდა კორკიდან და დროშებით და მუზიკით გაემგზავრა კორრიგალინისაკენ, სადაც მიტინგი იყო დანიშნული; ერთს ბაირაღზედ ეწერა: „Aღდგენილი Iრლანდია". კარრიგალინში სულ 10,000 კაცმა მოიყარა თავი; მოსაკრაეები უკრავდნენ Iრლანდიის [illegible] გიმნს და მთელი ხალხი ბანს აძლევდა: „Uმერთო, დაიფარე Iრლანდია". მიტინგის თავმჯდომარე მაკ-სუინიმ სთქვა, რომ Iრლანდიას ახლა ორი საქმე აწუხებსო, ერთი მიწისა და მეორე დატუსაღებული ფენიებისაო. მიტინგმა დასდვა შემდეგი გადაწყვეტილება: „ჩვენ გვსურს განთავისუფლება ჩვენი დამწყვდეული თანამემამულეებისა. პირველად ჩვენ ვთხოულობდით ამასა და ახლა კი, თუ საჭიროება მოითხოვს, სისხლსაც დავღვრით ამ საქმისთვის. Aხლანდელ გარემოებაში არავის არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ იმათი განთავისუფლებით საზოგადო მშვიდობიანობა დაირღვევა."—

## საბერძნეთი.

Aთინის კორრესპონდენტი ანგლიური გაზეთის „Times"-ისა აი რას იწერება სხვათა შორის [illegible]-საბერძნეთის მდგომარეობაზე: „Aუცილებლათ საჭიროა, რომ კოროლი Bიორგის მმართებლობამ მიიღოს რადიკალური ზომები ავაზაკობის მოსასპობლათ. Aქამდის კი სუსტს მმართებლობას ვერაფერი ვერ მოუხერხებია ამ ერის დამაზიანებელი ავაზაკობის მოსპობისათვის. პოლკოვნიკმა კორონეოსმა, რომელიც დასდევდა ავაზაკებს და უნდა ამოეწყვიტა ისინი, ვერაფერი ვერ გაარიგა და დაანება ამ საქმეს თავი; ის სწერს, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო, რადგან მინისტრები სულ არ უგდებენ ამ საქმეს ყურსაო და რადგან არც ჯარში არის თადარიგიანობაო.—Aრავინ არ იცის—რა ზომების მიღებას აპირებს შემდეგში მმართებლობა ავაზაკობის მოსასპობლათ, რომელიც თანდა-თან ვრცელდება. Eრთი ავაზაკების თავიკაპიტანი სოანოსი თავის ამხანაგებით დაბუდებულა თვით Aთინის სიახლოვეს და თავისუფლათ სცარცვავს ვისაც უნდა.—

## იტალია.

რ ო მ ი. რომის მსოფლიო კრებაზე დიკუმ-

---

რაეათ დააყენო, მოდი და ნუ იჩივლებ და ნუ იტირებ! Aი ესეც განათლებული დრო! Bანათლება კი არა, თვალში განაცრებაა. Aიღე თავი, ბატონო როსტომო, და გეეკარ ცხენის ზურგზე იასაულ ნინიასავით! სულ ამაებ არა ვფიქრობდი! საწყალი დედაჩემი ცივ ნიავს არ მამაკარებდა: შვილო, ავათ არ გამიხდეო. Bარეთ წყაროზე რო პირბანას დავაპირებდი, გამიჯავრდებოდა: ბიჭები რას მიკეთებენ, რო ხელპირიც არ დაგაბანინონო! Aი ერთი საფლავიდამ წამოაყენა და ამ ახლანდელი ქვეყნიერობის ამბავი დაანახვა!

— Kაი დრო არ მოგვივიდა, თქვენმა მზემ, დაუმატა როსტომის კნეინამ. Iმდენ მსახურებს დაჩვეულები დავრჩით ორისა და სამი მაწუნწარაების ამარას. Bატონო, ჯამაგირს ხომ, გაგიხარიან, კარგს ესენი იღებენ; მაგრამ თუ თავზე არ ადგეხართ, თქვენ არ მამიკვდეთ, ამათ საქმე არა გააკეთონ რა. Iსევ ჩვენ უნდა დავადგეთ თავზე, ისევ ჩვენ უნდა უჩიჩინოთ, თორემ მშივრებს დაგვაგდებენ! Tქვენმა მზემ, ისევა სჯობია ჩვენვე ვეცოდვილოთ, და აბა მიბძანეთ, რაღა საჭიროა ჯამაგირით კაცების დაჭერა?

— Vაი ჩვენი ბრალი და ვაი ჩვენი ბრალი! წამოიდუდუნა როსტომმა, როდესაც ის გართული იყო ფიქრით, თუ როგორ შეუდგე ახლა გზასაო, რომ პატარა გაჭირებაც არა ენახოვო.—

Jერ კი არაფერს არ ამბობდა წასვლაზე. Uნდოდა ეჩვენებინა თავის სტუმრებისათვის, რომ დიდ მამულის პატრონს დიდი თავში ცემა უნდაო. შემდეგ ძველის დროების მოგონებისა, როდესაც თავზე მუქთათ მოურავები ადგნენ, მრავლის კვნესისა და ხვნეშის შემდეგ, ცოლმა შეაწყვეტინა ლაპარაკი, რომ ახლა თავის დანებება არ შეიძლება და საქონელს ყურის გდება უნდაო.

— მეტი ღონე არ არის, მე უნდა წავიდე! ნათქვამია: არა გყვანდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო. ხუმრობა ხო არ არის—ათი თხუთმეტი თუმნის საქონელი იკარგება!

— „Wასვლა სჯობს წამავლისა არ დაზმანება ხანისაო" ხომ გაგიგონია, უთხრა Aნდუყაფარმა. მაგრამ ერთ რასმე კი გეტყვი.

— რასა? Aბა მითხარი.

— Aი ამასა, რომ სად უნდა იარო სოფლით სოფლამდინ, და იკითხოთ, რომ ესა და ეს ხარი ან კამბეჩი, ამა და ამ ნიშნიანი ხო არ გინახამთო; რომელი ერთს უნდა ჰკითხო? Aმასთან ვაი თუ უფრო ხარჯი მოგივიდეს, ჩემო ძმაო, და მერე იმ ანდაზისა არ იყოს „ჩიტი ბდღვნათ არა ღირდა, და დევნა მეტი იყოვო, ვაი თუ შენც ისე მოგივიდეს?

— Bიჭო, მა რა კაცი ვარ, თუ კი საქონელსაც ვერ ვიპოვნი! ხო არ დახოცავდნენ? Aრა, ჩემო ძმაო, უნდა წავიდე, თორემ, თუ აგრე ყური უგდეთ ჩვენ ყოფა-ცხოვრებასა, მალე ცარიელ ხალიჩაზე დავსხდებით.

Aმ ლაპარაკის დროს ერთი სტუმარი, ხშირათ ქალაქში მოსიარულე და ხშირათ ფიცხათ მოლაპარაკე შრომის სარგებლობაზე, ამ უკანასკნელ სიტყვებს ძალიან დააკვირდა. Tუმცა თითონ სასარგებლოთ დაიბადა, თავისი მამული ვაჭრებისთვის წლის-წლობამდინ იჯარით ეძლია, რომ თითონ აღარ ეწვალნა და ქალაქში სიტკბოებით ეცხოვრნა, მაგრამ ყოველთვის საჭიროთა სთვლიდა, მშრომელობაზე კარგი დალაგებული მასალაათი გაემართა და უშრომლობაზე სასტიკი ძაგვა, წყევლა და ყოვლგვარი დამამცირებელი სიტყვა ეთქვა. Aმ ჟამათ როსტომის სიტყვა მოეწონა და თითქოს მადლობის გრძნობით როსტომს მხარზე ხელი დაჰკრა.—

— Bარაქალა როსტომ! Aი დაუზარებელი კაცი! მადლობა Uმერთს, ჩვენშიაც შრომის მოყვარენი ნელ-ნელა ჩნდებიან! Bოლოს ჩვენცა ვგრძნობთ, რომ შრომა დიდი რამ არის. Aგრე, როსტომ, ჩვენ ჩვენი ოფლით უნდა ვჭამოთ პური და ნურც დავიზარებთ მუშაობასა. ჩვენი უბედურება ის არის, რომ გვერდზე წამოწოლილვართ და ვიძახით: ვაი რა დროს შევესწარითო, აგერ საცაა ცოლშვილით მშივრები დავიხოცებითო!.. Aრა! ჩვენ ოღონდაც ვიმუშაოთ და მშივრები არ დავრჩებით. Aრა უშავს რა, თუ ცოტაოდენი უსიამოვნება მოსდევს შრომასა, და ან რას იზამ? უსიამოვნობა ყველგან არის, უამისოთ არაშეიძლება რა. Aი კიდეც იმიტომ გეუბნები, რომ ყოჩაღ კაცო მეთქი!

— მა რა, შვილო, უნდა გავირჯეთ. როგორც გიჭირს, ისე გიღირსო. Tუ არ გავირჯებით, პურს ვინ გვაჭმევს? თავმოწონებით წამოსთქვა როსტომმა.

Aნდუყაფარს როგორღაც არ მოეწონა ზემოხსენებული მუსაიფი, თითქოს სიზარმაცესა სწამებენო. Aნდუყაფარ მშვიდობიანი კაცი იყო და მაგრე რიგათ თავს არაფერზე არ შეიწუხებდა ხოლმე. Iტყოდა: ყველაფერს თუ გამოვეკიდე Uციაანთ დავა გამიხდება და სიცოცხლე ხომ უნდა გავიმწაროვო. მაინც კი ველარ მოითმინა და ერთი კი გულმოსვლით უთხრა როსტომსა:

—ნუ მისდევ ცუდსა პეპელსა გაგიფრინდება, წავივა, Aრცა არა ხორცი გახორცებს, არც ტყავი ფასათ გაგივა.

## II.

მეოთხე დღეს ჩვენი როსტომი Bაღისაურს სოფელში იყო, სადაც იმასა ჰქონდა მამულები. Aქ მოვიდა ერთის დღით მამულების დასახედათ, და შემდეგ საქონლის ქურდის კვალს უნდა გაჰყოლოდა. Bზაზე სოფლებში ეთქვათ, რომ ამ მხარისაკენ გამორეკესო.

Dილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც როსტომი გადმობრუნდა და თანმხლებელ ბიჭს დაუძახა.

— Bიჭო, Bიორგი! ჩიბუხი!

Bიჭი საჩქაროთ შევარდა ოთახში, ჩიბუხი გაუკეთა და მიართვა.

— ძალიან არ დავიღალე! Bუშინ რო დილით არ გამოვსულიყავით ქალაქიდამ, წუხელის შუაღამისას ვერ მოვახწევდით.

— ძალიან ვიარეთ, თქვენი რისხვა არა მაქვს! Cხენები ასეთი არიან დაქანცულები, რომ რაღა მოგახსენოთ,– ტალკვესივით ჩამოუკრა მსახურმა ბატონსა.

— Dღეს, ბატონო, ხომ აქ დავრჩებით?

— Dღეს აქ დავრჩებით! Cხენებს დასვენება უნდა და მეც კარგათ დაღალული ვარ. Jერ ისევ ლოგინში მწოლიარე როსტომი განაგრძელებდა ლაპარაკსა და თან ჩიბუხს აბოლებდა:

— რა არის ადამიანი შვილი? Aბა რა არის, ერთი თქვი! Eრთი ბეწო მანძილი გამოვიარეთ და ვიღალებით. Aბა, მამა ნუ წაგიწყდება, ერთი თქვი: ადამიანი შვილი რა არის?

— რა არი ღმერთმან იცი? Dაფიქრებითა სთქვა მსახურმა და ღრმა ფიქრში შევიდა ამ ფილოსოფიურ კითხვისაგან. Bოლოს კი ესა სთქვა: რა ვიცი, ამ წუთი სოფლის ამბავს ვინ გაიგებს?.

როსტომი ლაპარაკის გუნებაზე იყო და იმისი ხასიათი იყო, თუ ერთ რასმეზე დაეწყო მუსაიფი, მანამ არ გაეთავებინა და ძირამდინ არ ამოეშრიტა, ძალიან ეჯავრებოდა იმისი შეწყვეტა.

— მაგოდენა კაცი ხარ და არ იცი! Aი ეს შანდალი რო აქა დგას, რა გგონია—რა ხნისა იყოს?... Bებია ჩემის მზითევის შანდალია. Cოტა რომ იყოს, კიდევ სამოც და ათი წლისა იქნება.

— Aი დალახვრა ღმერთმა! სამოცსაც კიდევ გასძლებს.

ზერში მიწვეულნი არიან 850 ეპისკოპოზი და 67 კარდინალი, ასე რომ კრება შესდგება 907 წევრებისაგან. მათ რიცხვში იტალიის მხრით იქნება—334 სამღვდელო პირი, ფრანციიდან—90, ისპანიიდან და პორტუგალიიდან—88, დიდი ბრიტანიიდან—48, გერმანიიდან და ავსტრიიდან—66, ბელგიიდან და ჰოლანდიიდან—21, საბერძნეთიდან და ოსმალეთიდან—20, ჩრდილოეთის და სამხრეთის ამერიკიდან—145.სულ ეს იქს—812 კაცს. მაგრამ ზოგი ამათგანი უსათუოთ ვერ მოახერხებენ სხვა და სხვა მიზეზის გამო რომის კრებაზე დასწრებას, ასე რომ საშუალი რიცხვით 600-მდი თუ იქნა ისიც კარგია.—

# ტელეგრამმა

7 ნოემბერს.

ს. პეტერბურგი. 2 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორმა მოაწერა ხელი მანიფესტს, რომლის ძალით მომავალი წლის იანვარში და ფებერვალში ათასს კაცზე ოთხი რეკრუტი უნდა გამოიწვიოს მთელს იმპერიაში და პოლშის სამეფოში.

## ბიბლიოგრაფიული ცნობები.

ფრანცუზულ-გაზეთებში სწერენ, რომ ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება გაზ. Rappel'-ში ახალი რომანი—ფელეტონი ვიქტორ-ჰიუგოსი, სახელად: „მეორე დეკემბრის დანაშაულობა" „Le crime de 2 decembre".—

—გაზეთი „ახალი დროება" გვაცნობებს, რომ მომავალ 1870 წელს ახალი საქალებო გაზეთის გამოცემას აპირებენო. გაზეთს ერქმევა სახელად „ქალის სიტყვა" და შეეხება მხოლოთ ქალების ყოფა-ცხოვრებას და იმათ სხვა და სხვა გვარ საქმეებსა.—გამოიცემა პეტერბურღში.

— უ. ტრანშერმა გამოსცა პეტერბურღში ფრანციზულს ენაზე წიგნი, სახელად: „რუსეთის რკინის გზების სტატისტიკა 1869 წლის 1 იანვრამდინ". მოგვყავს აქ რამდონიმე საინტერესო ცნობები ამ წიგნიდან: ამ წლის 1 იანვრამდინ მთელს რუსეთში სულ 11,108 ვერსზეა გაყვანილი რკინის გზები; ამ რიცხვში 6,569 ვერსზე მზათ არის და კიდევაც დადიან ზედ და 4,538 ვერსზე გზა თითქმის მზათ არის, მაგრამ მოძრაობა ზედ არ დაუწყიათ ჯერ, თითქმის 9,000 ვერსი ამ გზისა გაკეთებულია კერძო პირებისაგან, კომპანიებისაგან, დანარჩენი კი—მმართებლობის ხარჯითა. ამას რომ მიუმატოთ კიდევ 3,230 ვერსი რკინის გზა, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა გათავდეს, შესდგება სულ 14,338 ვერსი.

გამოანგარიშებულია, რომ რკინის გზების შემოსავალი სულ თანდათან მატულობს; მაგალითად 1858 წელში ნიკოლაევის რკინის გზის (პეტერბურღიდან მოსკოვამდი) შემოსავალი იყო 7,750,000-მდი, შარშან 1868 წ. შემოსავალი იმდონი მოიმატა,რომ 15,520,000 მან. შეიქმნა; ეს ანგარიში გვიჩვენებს, რომ ათი წლის განმავალობაში ნიკოლაევის რკინის გზის შემოსავალი ერთი ორად შეიქმნა. ამას გარდა ტრანშერს მოჰყავს თავის თხზულებაში ანგარიში—თუ როგორ დამჯდარა სხვა და სხვა რკინის გზების თითო ვერსის გაყვანა; ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ ყველაზე ძვირად დამჯდარან ის გზები, რომელნიც მმართებლობის ხარჯით არიან გაყვანილნი, მაგ. ნიკოლაევის გზის თითო ვერსის გაყვანაში მმართებლობას დაუხარჯავს 124,172 მან., მოსკოვ—ნიჟეგოროდის გზის თითო ვერსში 88,093 მან. თბილისიდან ფოთამდინ რკინის გზის თითო ვერსი ჯდება 70—80,000 მან. იაფათ ჯდებიან ის გზები, რომელთაც კერძო კომპანიები აშენებენ, მაგ. თითო ვერსი გრუშევ—როსტოვის რკინის გზისა უჯდება კომპანიას მარტო 44,162 მანეთად.—

— გაზ. „კავკასი" გვაცნობებს, რომ უ. პ. ისელიანი ამზადებსდასაბეჭდათ საქართველოს გეოგრაფიას; ამ გეოგრაფიაში, „კავკასის" სიტყვით, იქნება აგრეთვე ჩართული ისტორიული და ეტნოგრაფიული ცნობები საქართველოზე.

— ესვე გაზეთი აცხადებს, რომ ამ მოკლე ხანში გამოვა 1870 წ. კავკასის კალენდარი, რომელიც გაიყიდება კალამქაროვების მაღაზიაში. ფასი თბილისში 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით გარეშე ადგილებში—1 მან. 75 კაპ.

## სხვა და სხვა ამბავი

ერთს ფრანცუზულს საექიმო გაზეთში სწერენ შემდეგ გასაოცარ ამბავსა:

18 აპრილს 1868 წ. ქ. ვილიარიკის სატუსაღოში (ბრაზილიაში) თავი მოჰკვეთეს ორ დატუსაღებულებს რაღაც დანაშაულობისათვის. (ბრაზილიის კანონით დამნაშავეებს თითონ სატუსაღოში დასჯიან ხოლმე სიკვდილითა). რიო-ჟანეირის დოქტორს ლორენცოი-კარმოს, რომელიც ძალიან გამოჩენილია, როგორც ექიმობაში, ისე ბუნების მეცნიერებაშიაც, უნდოდა ესარგებლა ამ შემთხვევით და გამოეცადა თვით საქმეში ელექტროს ძალა და იმის ზედმოქმედება კაცის აგებულებაზე; რამდონიმე დღით ადრე მივიდა ის ვილიარიკში და სთხოვა, ვისაც რიგი იყო, რომ დამნაშავეების გვამი, იმათი სიკვდილით დასჯის შემდეგ, იმისთვის მიეცათ. ცოტა ხნის შემდეგ გაგდებინეს თავი ჯერ ერთ დამნაშავეს, სახელათ კარინესს და მერე მეორეს—ავსიროს; იმათი თავები, რომელნიც ერთს კალათში ჩაჰყარეს, და ტანები ლორენცომ წაიღო შინა, თავის გაგდებინების შემდეგ ლორენცოს თანაშემწე ექიმმა იმწამსვე ავსიროს გადაჭრილ სისხლის ძარღვებს მოუჭირა ერთგვარი მაყაში და შეაჩერა ამ ძარღვებიდან სისხლის დენა; ტანი დასდვეს კრაოტზე. ლორენცომ ამოიღო კალათიდან ერთი თავი, დის შეცადინეობით მიადგა ის ყელზე ... რეთ და ზედ მიაკერა; ამას გარდა ისე მჭიდროთ მიამაგრეს თავი ყელზე მაშინითა, რომ ვერ გაინძრეოდა; შემდეგ ლორენცომ მიადვა მკვდარს ყელზე და გულზე ძლიერი ელექტროს მავთულები. ლორენცოს უნდოდა მხოლოთ შეეტყო—რამდონი ხნის განმავლობაში შეიძლება ხელოვნებით დაიფაროს კაცმა გვამში სიცოცხლის ნიშნები.—

მაგრამ, წარმოიდგინეთ ლორენცოს გაოცება, როდესაც ორი საათის შემდეგ შენიშნა, რომ, ელექტროს ძალის ზედმოქმედების გამო, გვამმა დაიწყო სუნთქვა; ამას გარდა მაჯა უჩვენებდა, რომ იმის ტანში სისხლმაც ნელ-ნელა ტრიალი დაიწყო. რამდონიმე დღის განმავლობაში ელექტროს ძალის ზედმოქმედება ავსიროს გვამზე არ შეუწყვეტიათ. ყველას გაკვირვება მაშინ უფრო მომატებული იყო, როცა სამი დღის შემდეგ შენიშნეს, რომ ის ადგილი, სადაც გადაჭრილი იყო თავი, ურჩება გვამსა და თავი ტანზე მიბმას აპირებს. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ მკვდრის თავმა ცოტ-ცოტათი მოძრაობა დაიწყო; ეს მოხდა იმ დროს, როცა ლორენცოსთან მივიდა იმ სატუსაღოს ზედამხედველი, რომელშიაც დაჭერილი იყო ავსირო თავის სიცოცხლეში; ამან იმწამსვე შენიშნა, რომ შეცდომით ავსიროს ტანზე მისი ამხანაგი—კარინესის თავი მიუდგამთო.

სულთქმისათვის ლორენცომ გამოუჭრა გვამს კისერში სასულე გარედან, შიგ მილი ჩაუყენა და იქიდან სუნთქამდა ის ხოლმე; საჭმელი კი ზონდით ჩაჰქონდა პირიდან სტომაქში.—

სამი თვის შემდეგ ავსიროს სრულებით მოურჩა კისერი და სხეულშიაც, თუმც სუსტი, მოძრაობა შენიშნეს. ლორენცო გაშტერებული იყო ამგვარი ელექტროს ძალისაგან; ამას უნდოდა გამოეცადა მხოლოდ—რა მოქმედება ექნება ელექტროს დაჭრილ ადგილზე

---

— სამოცს კი არა ასსაც გასძლევს. ეს რა არის! მცხეთის გზაზე ერთი ქვა უპოვნიათ დაწერილი. უანგარიშნიათ, რომ ორი ათასი წლის ქვა უნდა იყოსო!

ბიჭმა თავი გაიქნივ-გამოიქნივა: დახე ღვთის განგებასა!

— ახლა იმას ვამბობდი: ეს ქვა, რკინა ამდენ ხანს უნდა სძლებდეს, არც იღალება, არც იქანცება, არც ჭამა უნდა და არც ათასნაირი წვალება. ადამიანი შვილი კი რა არის?

— რაღა რა არის, თქვენი მტერია, რაც ის არის! დაიბადება თუ არა, მაშინვე ტირის თავის დღესა და სოფელსა.

— მე და ჩემმა ღმერთმა ეგ კარგი თქვი. ქვეყნიერობა რომ კარგი ყოფილიყო გაიცინებდა! ასე არ არის ჩემო გიორგი!

— მართალი სიტყვა თუ გნებავს, ეგ არის.

— ე...ე... მართალი როგორ არ არის, რომ აბა თუ ღმერთი გწამს, რა ჩემი საქმეა სოფლით სოფლამდინ სიარული ხარ კამეჩის უკანა.

— ეჰ, ბატონო, რაღა გავაგრძელოთ; ავი დრო და ავი ჟამი მოგვივიდა!

— მარტო ჩვენ არა!

— მაგას ვინ მოგახსენებს, ჩვენთვის უფრო გასაჭირი დროა. რა გვეჭირდა ადრე!

— ავი დრო როგორ არ მოვიდა—ვეჟო! მოსავალმაც რო იკლო!

— ოჰ! მაგას კი ნუღარ ბძანებთ, წახდა ქვეყნიერობა!... მაგრამ რაც ღვთის ნებაა, ის უნდა ასრულდეს; ღვთის ბრძანებას ვინ დაუდგება წინა?! მსახურს ბევრის ბრძნულის ლაპარაკისაგან თავბრუ ესხმოდა და უნდოდა თავი მოეშორებინა.

— ბატონო, ჩაის ხო მიირთმევთ, მიბრძანებთ, გიახლო სამოვრის საშოვნელათა?

— აბა ერთი იკითხე სადმე; დაღალულს ხომ იცი ჩაი მიყვარს.

მსახური გავიდა. როსტომი კიდევ ლოგინში იწვა და ნებივრათ ფიქრობდა: ჰაი თუ კეთილი ცხოვრება კარგი რამ არის! ახლა რომ საქმე არა მქონოდა, შუადღემდინ ამ თბილ ქვეშაგებს არ მოვცილდებოდი... რა იქნებობოდა ღმერთ პატარა ფული მოეცა! ავიღებდი ლამაზათ, ბანკში მივცემდი და სარგებლით ვიცხოვრებდი. ხარ-კამეჩ კი უკან არ ვედევნებოდი. ჩავიდოდი ქალაქს,... დალოცა ღმერთმა ქალაქი, იმისთანა ადგილი დედა მიწის ზურგზე არის კიდევ განა? როცა გინდა ჰანარს იშოვნი! თართის დოში, გელაქნური ხომ ფეხ სარევათ არის! ჰაი თუ პირის გემოს გავიღებდი! სხვას თუ იკითხამთ, დროსაც კარგა გავატარებდი, შვილებსაც კარგა გამოვზდიდი და ყველაფრით სრული ვიქნებოდი!... საცა კაი და კაი მოსამსახურეა, იმას დავიჭერდი. ბატონო, რა უყოთ რო ჯამაგირი მეტი მოუნდებოდა! ამდენი ჩიჩინი და უკან დევნა ხო არ მოუნდებოდა კაცსა. იქნებოდა საქმე და უბძანებდი ბიჭსა: ეი შენ ბიჭო, ესა და ეს საქმე ამა და ამ დღეს მზათ გათავებული დამიხვედრე, თორემ, ხომ იცი ჩემი საქმე, ძალიან გაგიწყრები!.. ბიჭსაც მეტი რა ღონე აქვს, უნდა გააკეთოს საქმე, თორემ,... თორემ ბატონი გაუწყრება და ვინ იცის გააგდოს კიდეც, იქნება კიდეცა სცემოს. მაგრამ ე მირავოი სუდში რო იჩივლოს? რა ვიცი რაღაებსაც კი ამბობენ და! მაგრამ რაღა მოჯამაგირეა, თუ კი ერთი სილის მითავაზებაც არ შემეძლება... ახა, ღმერთო ჩემო! ამისთანა ამბავი გაგიგონიათ!

ამასობაში გიორგიმ სამოვარი შემოიტანა, ჩაინიკი დაადგა ზედა და ჩაის იარაღს წმენდა დაუწყო. როსტომიც ხმაურობისაგან გამოვიდა თავის ოცნებებიდგან, ტანთ ჩაიცვა და მოემზადა ჩაის სმასა. შუადღემაც მალე მოატანა. როსტომი გავიდა თავის მცნობების სანახავათა და შუა ღამემდინ შინ აღარ დაბრუნებულა.—

— დილით ადრიან მოვართვა ცხენი? ჰკითხა გიორგიმ ბატონსა, როდესაც ის ქვეშაგებში წვებოდა.

— დაღალული იქნება, კაი დასვენება უნდა... ხვალ სამწყემსოთ მივდივართ. დალახვრა ღმერთმა, ძალიან გადამეკიდნენ ეს ზურაბიანი, და უარს ხო ვერ ვეტყოდი. კარგა მინდოდა ხვალ შუადღისას გავსულიყავით, მაგრამ რასა იქ, ჩემო ძმაო? ნათქვამია სტუმარი მასპინძლის ვირიაო, როგორც დაბ ნ, უნდა დაებაო; ჩვენც აქ სტუმრები ვართ.

— მე რა სიტყვა მაქ, შენი ჭირიმე.

— არა, კარგი კი იქნება მე და ჩემმა ღმერთმა! დიდი ხანია მწყერზე არა ვყოფილვარ. ასეთი მწყერი სცოდნია თურმე ქვეითა მინდვრებისკენ, რო აუარებელი!

— მაშ, მეც გიახლებით.

— უნდა მოხვიდე, მარა! ცხენებ ძალიან ადრე კი ნუ მოიყვან. აქ თითქოს მოაგონდა წ ლანდელი ნათქვამი სიტყვა ცხენის დაღლევაზე და დაუმატა: რა ვქნა, არ მინდოდა მა ცხენების ტარება, მაგრამ დიდი მანძილიც არ არის.

— რა უშავთ, თქვენი ჭირიმე; რა ძალა იმათ დასდგომიათ?!

— აგრე, ჩემო გიორგი! მაგრამ მე ცოტა ფული შემომაკლდება: სამი თუმანი ღა დამრჩა, რაღაც ეშმაკათ ქალაქისკენ გამოვიარეთ, ერთ დღეში ხუთი თუმანი საცა ღა წავიდა, არ ვიცი?! ერთი ეს საკაბე ჩანს. ოჰ, რო იცოდე, ზურაბის ცოლს რო მივართვი, რა სახით მოეწონა.

— რატო არ მოეწონებოდა?

— არა და, მოწონებით ხო მოიწონა, ძალიანაც იამა და! სადილათ იმიტომ აღარ გამამიშვა. მაგრამ ქალადმა კი გამაკოტრა, ჩემო ძმაო; ორი თუმანი წავაგე.

— ეჰ ბატონო, ნეტა მაგ ქალალდს კი არა თამაშობდეთ და! რა არის ღმერთმაინცი, მე კი არ მესმის, რა ხალისია ემაგის თამაშობა!

— ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო! შენ, შვილო, ჯერ ბევრი რამ არ იცი.

— რა ვიცი აბა! ერთი გლეხი კაცი ვარ. მაგრამ სამი თუმანი რო დაგვრჩა, ეგ გვეყოფა?! ვაი თუ ხვალაც ითამაშოთ და რაღა გვეშველება?

—ბევრს არ მიჭქარავდე, ის გირჩევნია! შენ როგორღაც გამიკადნიერდი, შვილო.

— რავქნა, მართალს მოგახსენებ!

— გასწი, დამეკარგე! ძილის დროა.

ისე თქვენ დაიძინოთ, როგორც გულიანათ და ტკბილათ როსტომმა დაიძინა, ხარკ-ამბეჩი სულ დაავიწყდა; ახლა, თუ აგონდებოდა, მარტო მწყრები აგონდებოდა.

მეორე დღეს დილაზე კარგა ბლომა ამქარი შეიყარა და სამწყერაოთ გაელაშქრა მინდვრისკენ. საღამოხანს ლაშქარი ისევ დაბრუნდა და ზურაბისას ლაზათიანი ვახშამი შეირგო. როსტომი კაი ქეიფზე იყო, და შექცევაში და ლხინში არავის არ უვარდებოდა. მასპინძელმა ზურაბმა, კალმახზე სიტყვა ჩამოაგდო, რომ აქ ახლო სოფლის ბოლოში, ხევის წყალში, კაი კალმახი იცისო. როსტომი გაფაციცდა:

— აბა, შენი ჭირიმე, ხვალ იქ ვესტუმროთ

— ხვალ კი არა და ზეგ კარგი იქნება; დაუმატეს რამოდენთამე და საბუთებიც მოუტანეს, რომ ხვალ ვერ მოახერხებდნენ წასვლას.

— კარგია, ზეგ იყოს, ჯანაბას! მე, შვილო, სოფლის სოფლამდინ მოვსულვარ საქმეზე, მე ვცდები და თქვენ კი... მაგრამ, როგორცა გხედამთ, მეტი ღონე არ არის, უნდა დაგყვე.

ამ გვარათ გადასჭრეს ზეგ საკალმახოთ წასულიყვნენ.

იმ ღამეს კარგა დაიძინა როსტომმა, მაგ-

და მის მაგიერათ იმის ძალამ მოუბრუნა სიცოცხლე ისეთ კაცსა, რომელსაც კანონით არ უნდა ეცხოვრა ქვეყანაზე. რვა თვე რო გავიდა ავსიროს ტანი და პარინესის თავი სრულებით მიეზარდნენ ერთი მეორეს და ეს ორგვარი კაცი, როგორც სწერენ, თავისუფლათ დგებოდა თურმე ლოგინიდამ და დაიარებოდა; ის გრძნობდაო მხოლოთ, რომ ყელი როგორღაც არ ემარჯვებოდა და ჯერ ფეხებიც სუსტათ ჰქონდა.—

ეს ამბავი, რასაკვირველია, მკითხველის ჭკუაზე ახლოს ვერ მოდის. მართლათაც ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, როცა წარმოიდგენს კაცი ყველაფერს, რაც ამ უკანასკნელ დროში აღმოაჩინა მეცნიერებამ და რასაც შერებიან სწაველულები ელექტროს ძალის შემწეობით, ვერ შეგიძლია გადაწყვეტით სთქვა, რომ მეცნიერება ამას იქს და იმას კი ვერა თქო.—მკითხველებისთვის მიგვინდვია იმ შედეგებზე მოფიქრება, რომელნიც ექნება ამ საქმეს, თუ მართალი ამოჩნდა.

---

— ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა ლონდონში სტატისტიკური ცნობები ანგლიის ქარხნებზე და მუშებზე. მოგვყავს რამდენიმე საინტერესო ცნობები ამ სტატისტიკიდან: ბამბის საქონლის საქსოვი ქარხნები ანგლიაში—2,405 არის; ამ ქარხნებში ყოველ-დღე მუშაობს—152,656 კაცი და 204,396 ქალი. მატყლის ქარხნები ანგლიაში—1,420—მდია და იმათში 52,000 კაცი და 50,000 ქალი მუშაობს. აბრეშუმის საფეიქრო ქარხნებში, რომლის რიცხვი ექვსასამდია, 12,000 სული მუშაობს ყოველდღე. ყველა ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი ანგლიაში და უელსის სამთავროში არის—5,698; მუშა-კაცების რიცხვი—278,788 და მუშა—ქალებისა კი—390,800.—შოტლინდიაში 670 ფაბრიკაა, რომელშიაც მუშაობენ ყოველ-დღე 30,000 მუშა კაცი და 82,000 მუშა—ქალი. ირლანდიაში არის სულ 198 ფაბრიკა და ამ ფაბრიკებში ითვლება მუშებათ 22,622 კაცი და 50,300 ქალი.

---

ამ წელს გაზაფხულზე გახსნეს მოსკოვში ვაჟების სახელოსნო შკოლა; ამ შკოლაში ილებენ ხოლმე ღარიბების შვილებს და ასწავლიან სხვა და სხვა ხელობას, როგორც მაგალითად ხარატობას, მჭედლობას, დურგლობას, ყდის კვრას და სხვ. ამას გარდა აქვე ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს.—

---

გაზეთი „ოდესის უწყება" ამბობს, რომ ამ ქალაქში აპირობენო სახლის გაკეთებას ობოლი ქალებისთვის; ამ სახლში ახალგაზრდა უპატრონო ქალები იცხოვრებენ საზოგადების ხარჯით და ცოტაოდენ სწავლას და რომელიმე ხელობის ცოდნასაც მიიღებენ. შემდეგში, როცა ისინი გაიზრდებიან, გამოუშვებენ ამ სახლიდან და თვითონ უნდა დაირჩინონ თავის თავი. ამბობენ, რომ ოდესის მცხოვრებლებს ბევრი შეუწირავთ ამ სამადლო საქმის სისრულეში მოსაყვანათო.

---

ქ. კიევის მცხოვრებლებმა შეკრიბეს ფულები წელს ხელმწიფე იმპერატორის დასახვედრათ, როცა იქ გაიარა: მაგრამ იმპერატორმა მოისურვა, რომ ეს ფულები რომელიმე სასარგებლო საქმისათვის მოეხმარათ. კიევის მცხოვრებლები აპირებენ ეხლა სახელოსნო შკოლის გახსნას, რომელსაც ერქმევა სახელად „შკოლა მეფე—განმათავისუფლებელის ალექსანდრე II-სა. ამ შკოლისთვის შეკრებილია ახლა ოცდა ათი ათასი მანეთი, აქაური ვაჭრები დაჰპირდენ კიდევ ყოველ წლივ ფულების შეწირვას ამ საქმისთვის, სანამ თავნი 29 ათას მანეთამდი არ მიაღწევს. ამას გარდა ერთმა აფიცარმა უანდერძა შკოლას 22 ათასი მანეთი.—

აი როგორ ყურადღებას აქცევს თვითონ საზოგადოება რუსეთში ამისთანა სასარგებლო საქმეებსა. ჩვენში კი ყველა თავის თავისთვინ ცდილობს და ის კი არ ესმით, რომ, თუ რომელიმე ერი კეთილდღეობაში იქმნება, მაშინ ყველა ცალკე პირებიც უკეთ და უფრო ბედნიერათაც იცხოვრებენ.

---

## სავაჭრო ცნობები.

ოქტომბრის 31-ს პეტერბურღის ბირჟაზე პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადიოდა — — — — — — 150 მან. 50 კაპ.
მეორე სესხისა — — — — 150 — 50 კაპ.
ხუთ სარგებლიანი (5%) სახელმწიფო ბანკის ბილეთები — — — — — 87 მან. — —
5% გამოყიდვის ბილეთები— 87 მან. 27 კ.
ნახევარი იმპერიალი ღირს — 6 და 65 კაპ.
პური—ჩეტვერტი 8 — — — 9 მან. 50 კ.
ლონდონის—29¾ პენსში აძლევენ — 1 მან.
პარიჟის — — 310½ სანტიმში — — 1 მან.

მ ო ს კ ო ვ ი ს ბირჟაზე 25 ოქტომბერს.

ნუხის აბრეშუმი ფუთი — 202 მან. 50 კაპ.
დერბენდის ენდრო ღირდა ფუთი — 12 მან.
ბუხარის ბამბა — — — — 12 მან. 65 კ.
ამერიკის ბამბა — — — — 17 მან. და 50 კ.

---

## ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ერევანში და ჯულფისაკენ.—ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქი ფოჩტა.—ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რუსეთში, ქუთაისში—ფოთამდინ, ერევანში, ალექსანდროპოლში და ნოვობაიაზეთში.—ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში.—პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ—ქუთაისში, კახეთში და ერევანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ—რუსეთში და შემახაში.—კ ვ ი რ ა ო ბ ი თ რუსეთში და ქუთაისში.

## ტელეგრაფი.

დეპეშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: ქუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკაზს, ორპირს, ფოთს, ერევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, ქერჩში, მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—ბორს, სიღნაღს—50 კაპ.—პეტერბურღს, ჟენევას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

---

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა და ამ მოკლე ხანში გამოვა

# „სინოპტიკური კალენდარი"

1870 წ ლ ი ს ა.

შედგენილი რაფ. ისარლიშვილისაგან.

---

## კერძოობითი განცხადება.

მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭარი ნ. ი. ძე კ ო რ ე ს ჩ ე ნ კ ო, რომლის ჩ ა ი ს ა ხმარობს თვითონ მ ი ს ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა მ ი ხ ა ი ლ ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი ჩ ი, უცხადებს თბილისის საზოგადოებას, რომ იმის ფირმის ჩაი ისყიდება თბილისში საპატიო მოქალაქე იაკობ ავეტის ბაბანასოვის მაღაზიაში იაფათ და იმავე ღირსებაებისა, როგორც მოსკოვშია.

ნ. კორესჩენკო.

---

რამ დილით კი ცუდ გუნებაზე გამოეღვიძა. მიზეზი სიზმარი იყო: სიზმარში მითამ კალმახისთვის წასულიყო წყალზე; წყალი ასეთია, რომ სავსეა კალმახითა. ადამიანის ხმით კალმახები ეძახიან როსტომსა, აბა მოდი, დაგვიჭირეო! მიდის როსტომიც, აგერ ხელს აწოდებს, თითქოს ეს ეს არის ხელში ჩაუვარდება, მაგრამ... აი დალახვრა ღმერთმა, ხელში, თითქმის ხელში კალმახი ძროხათ ექცევა და მისცურავს წყალში, ასე გონია კალმახიაო. აი კიდევ ის ის არის იჭერს და ხელიდამ ძროხა უსხლტება!

— დასწყევლა წმინდი გიორგის სალოცავმა! თვალები წამოაჭყიტა როსტომმა, წამოსთქვა და პირჯვარი გადიწერა. აი დასწყევლა ღმერთმა! რა ცუდი სიზმარი ენახე!

— როგორა, ბატონო? ჰკითხა გიორგიმ.

— რაღა როგორა! მე როგორღაც სიზმარი ენახე, რომ ძროხები ხელიდამ მექცეოდნენ. ეს ცუდი ნიშანია.

— მე მგონია—კაი ნიშანი უნდა იყოს: სიზმარი სულ უკუღმა ახდება.

— ღმერთმა ინებოს! როსტომს ეჯავრებოდა თითქმის ძროხებზე ლაპარაკი, ზეზე წამოდგა და ტანთ ჩაიცვა.

ამ დროს მოვიდა ერთი ვაჭარი, რომლთსთანაც ყველა სოფელში საკმაოთ ბევრია. ამას უნდოდა იაფათ ვენახი ჩაეგდო და დიდი ხანია როსტომს გადაეკიდა.

— ბატონი აღდეგრძელა ღმერთმა!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ფარსადან. რასა იქ, შე მუხანათო?

— როგორ ბატონო, მუხანათი?

— ის ჭანარი დაგავიწყდა, შე წუწკო, შენა? ბიჭო, ერთ პატარა ნაჭერს მაინც მამიტანდი! სულ კი იმათ შეაჭამე!

— რა ექნა, თქვენი რისხვა მქონდეს, თუ თქვენი აქ ყოფნა მცოდნოდეს! მაგრამ წასული საქმეა; რა ხნის ამბავია, თქვე დალოცვილო! ახლა კი კალმახზე გადამახედევინეთ. ასეთი კალმახი გვაქვს, რო რაღა მოგახსენოთ?

— არა, შენ მაგაზე ვერ გადაატარებ. ხვალ, შვილო, კალმახზე მე თითონაც მიედივარ... პატარახანს უკან უთხრა: მე ვიცი შენი მუცლის გლეჯა, ვენახისთვის მოსულხარ, განა?

— აი, ბატონო, თუ მამყიდით, მზათ გახლავარ.

— მოიტა ოცი თუმანი!

— რა არის, თქვენი რისხვა არა მქვს! ტყუილათ ოხრათა გდია, ვაზები სულ გადამხმარა; ცოდვაა, სულ არა იყოს რა. გავათაოთ და მოვრჩეთ! ან რა სახსენებელია, ერთი დღიური ადგილი არც კი იქნება; გვერდით ვენახი მაქვს, იმისთვისა ვყიდულობ, თორე აბჩხარი რაში მეკნაჭება! მიირთვით ცამეტი თუმანი, როგორც ამას წინათ მოგახსენეთ.

— ოც გროშს არ დავაკლებ! ბიჭო, ხომ იცი, მამულს რა ფასი დაედო!

— თქვენი ნებაა. ადგა ვაჭარი, მშრალათ თავი დაუკრა და გავიდა.

როსტომი ცოტათი ჩაფიქრდა. ფულები შემოეხარჯა, სახარჯო უნდოდა და ერთითაც იმ პატარა ვენახის გაყიდვასაც აპირობდა.

— ჯანი გავარდეს! დაუძახა მოვაჭრეს: აქ მო, ბიჭო, ფარსადან. მოიტა თხუთმეტი თუმანი, თუ გინდა; თუ არა და სხვაცა მყავს მყიდველი, მე მინდა შენ დაგრჩეს ვენახი.

ბოლოს, ბევრის ლიჯინის შემდეგ, მორიგდნენ და ნახევარი ფული როსტომმა წინათ გამოართვა.

— ამ ერთ საქმესაც მოვრჩი, კმაყოფილებით წამოსთქვა როსტომმა, თითქოს ერთი დიდი ტვირთი მოიშორა თავიდანაო. ახლა ამ ძროხების ფიქრი მაქვს; ერთი მოიკითხე, გიორგი, მენახირეებში ან მეურმეებში იქნება ვისმე ენახოს.

— ბატონი ბძანდები, დღესვე დავეკითხები, ხომ არავის არ უნახავს. ნეტავი ადრე გებძანებინათ, აქამდინ სოფელს შევაჯერებდი.

— სოფელს შეაჯერებდი! რა დიამბეგი შენა ბძანდები? მე რო შენი საქმე ვიცი, ქვეყანაში ვერავინ წამოგეცილება!

— დამცინით რაღა?

— დასაცინარი როგორ არა ხარ:თუ მარდი ბძანდებოდი, მამაგონებდი მაინც არის: რას მიბძანებთქო, ძროხა არ მოვიკითხოთქო? აი მარდობა მაშინ შეგეტყობოდა! არ ვარგიხარ, არა. ცოტა გულმოსულსავით წამოიძახა როსტომმა-

სადილათ ახლა ზურაბთან კი აღარ წავიდა, თუმცა მიწვეული იყო,—ზურაბის განაყოფს ეწვია; საღამოც იქ გაატარა ნარდისა და ქაღალდის თამაშობაში. მეოთხე დილაც გათენდა და კალმახზე წასვლის ჟამსაც მოესწრო; თუმცა ცოტა შექეიფებული დაბრუნდა კალმახიდამა, მაგრამ მალე გამოფხიზლდა.

საღამო ხანს, ნახირის შემორეკის დროს, გიორგიმ ერთი გლეხი მოიყვანა.

— ბატონი აღდეგძელა ღმერთმა!

— ბეროს გაუმარჯოს.

— აი, ბატონო, ბეროს უნახამს ხარ-კამბეჩის მყიდველები. მოახსენა გიორგიმ ბატონსა.

— აბა მითხარი, როგორ იყო.

— ასე გახლდათ, შენი ჭირიმე, რომ ჩალის თავი არ გახლამთ, იქ რომ მუხები დგა, იქითკენ გახლდი დღეისწორსა და შინ გიახლებოდი... თათრები ევაჭრებოდნენ ერთმანეთსა; უყურე, ვნახე, რომ სამი ხარია და ორი კამბეჩი; ერთი კამბეჩი მემცნაურა, რავქნა, ეხო ჩვენი ბატონის კამბეჩსა გავს მეთქი. რა კამბეჩი იყო ის დალოცვილი! ცოდვა არ არის ის დაიკარგოს!

— შენ, მართლა, გენახვება ჩვენი საქონელი; ხარებიც ჩვენსასა გვანდნენ?

— აის ხარები, აქ რო იყიდეთ, ის არ გახლდათ?

— ჰო, სწორეთ აის.

— ჰო და ღმერთმა გაღდეგრძელა! ის იყო.

— მაშ აბა ახლაკი ხელში გვყავს! სხვამ კიდევა ნახა?

— როგორ არა ნახეს! აი სოსემ, მიხამ, ესტატემ.

— ცხონდა მამა შენი! ახლა ესა თქვი: ი თათრები სადაურები იყვნენ?

— რა მოგახსენოთ, ეგ კი არ ვიცით; ეს კი ვიცი, რომ ყიდვით ერევნელ თათრებმა იყიდეს და მეორეს დღესვე გარეკეს.

— ერი ჰა! ეგ ვერაფერი ამბავია! მოდი და ახლა შენ ერევნისაკენ მოძებნე!....

— ცოდვა არ არის დაიკარგოს იმოდენა საქონელი, გულ-დამწვარივითა სთქვა გიორგიმ.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა უნდა იქნას! მოდი ახლა, ის თათრები იპოვე.

— რა ეშმაკი იპოვის იმათა, დაუმატა ბერომ.

### III

მეშვიდეს დღეს ჩვენი როსტომი მშვიდობიანათ შინ დაბრუნდა. ჯერ შინ არ უნდოდა შესვლა—ვისმე ვესტუმრებიო, მაგრამ ანდუყაფარი მოაგონდა: შენ უყურე, რასახით დაცინვას დამიწყებსო, თუ კი შეიტყო ჩემი ტყუილ-უბრალოთ წასვლა მოსვლაო.

მაინც ვერ ასცდა და მეორეს დღეს ანდუყაფარ ესტუმრა როსტომსა.

— რო გითხარი, ჩემო ძმაო! ნუ მისდევ ცუდსა პეპელსა, გაგიფრინდება, წაგივა მეთქი! ამასთან მამილოცამს ვენახის გაყიდვაცა.

— კარგია ერთი, მამა ნუ წაგიწყდება! მოდი, ერთი კამათლები ვაგოროთ, თავისებურათ უთხრა როსტომმა.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Ноября, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.